იმ თანხის დასაფარავად, რაც დახარჯულია წყალსადენის გაკეთე ისთვის. საფინანსო კომისიამ უარჰყო წყალსადენზე დახარჯულ თანხის ამორტიზაციის ს ა კ ი თ ხ ი, წყალზე გადასახადი კი გაადიდა ათშაურამდე ვედროზე იმ პირობით, რომ მილებული თანხა მოხმარდეს მხოლოდ წყალსადენის შეკეთებას. სასურველია რომ ეს წყლის ფასის მომატება იყოს დროებითი და წყალი არ უნდა გახდეს ქალაქისთვის შემოსავლის წყაროდო, უმატებს კომისია. გამოითქვა სურვილი, რომ საბჭომ ამის შემდეგ გამოსცეს დადგენილება და გაათავისუფლოს სახლის პატრონები მდგმურებითვის წყალის უფასოდ ძლევისაგან. კომისიამ სურვილი გამოსთქვა, რომ გამგეობის წევრებმა წარმოუდგინონ კომისიას დაახლოებითი ნუსხა ყველა იმ საქმეებისა, რაც ქალაქის მეურნეობაში ხარჯების გაღებას ითხოვს. მაშინ კომისიას საშვალება ექნება დააკმაყოფილოს უსაჭიროესი საქმეები პირველ რიგში და შემდეგისთვის გადადვას ისეთები, რაც შედარებით ნაკლებ საჩქარო და საშური აღმოჩნდება.

ვ. სულაქველიძე.

საგანგებო კომისარმა ბ-ნმა ბ ჩხიკვიშვილმა ბათომის ოლქის ადმინისტრაციის მეთაურად დანიშნა თბილისის მილიციის უფროსი პოლკოვნიკი ვ სულაქველიძე.

ვ. სულაქველიძე საქართველოში საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. მისებრ ენერგიის და თავდადების კაცი იშვიათია რესპუბლიკაში. სულაქველიძე უმაღლესი სწავლით არის აღჭურვილი და არის ყოფილი რუსის ჯარის ოფიცერი. მან ადმინისტრაციაში სამსახური დაიწყო ქუთაისის მილიციის უფროსის თანამდებობადან შემდეგ თბილისის მილიციის უფროსად იქმნა გადაყვანილი სამაგალითო სამსახურისთვის. რესპუბლიკის განსაცდელის დღეებში სულაქველიძე ახსოვს ჩვენს ცხოვრებას რკინის გზების გენერალ-გუბერნატორად, როს წითელ პროვოკაციით გაბოროტებული ბრბო მატარებლებს გვიმსხვრევდა თბილისის ახლოს, სულაქველიძეს აი მაშინ ჩაბარა მთავრობამ რკინის გზების დაცვა.

აფხაზეთის კრიტიკულ ჟამს, როს სოხუმის ოლქს ემუქრებოდა წითელი და შავი რეაქცია აწინდელ რუსეთიდან, სულაქველიძე მთავრობამ გაგზავნა სოხუმის ზურგის დასაწყნარებლად ჩვენში ყველამ იცის, რომ სულაქველიძემ დავალება ყველაზე სანაქებოდ შეასრულა.

სულაქველიძე ამას წინად პოლკოვნიკის ხარისხზე აიყვანეს, მაგრამ ასეთი ხარისხები მისთვის არაფერს ნიშნავს.

სულაქველიძეს უყვარს რესპუბლიკა და მისთვის არის ის თავდადებული.

სულაქველიძის მუშაობა ბათუმში დარწმუნებული ვართ ისეთივე ნაყოფიერი იქნება, როგორც სხვაგან.

საზოგადოების და ხალხის აბსოლუტურ თანაგრძნობით სულაქველიძე მალე გააჯანსაღებს ოლქის ადმინისტრაციას. ჩვენ სიხარულით ვეგებებით მის აქ მოსვლას.

მთავრობის თავმჯდომარის ცირკულარი გამო.

ოთხი კვირის წინათ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ცირკულარი გამოსცა, რომლითაც ევალებათ ყველა სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციებს მინიმუმამდე შეამცირონ თავიანთ დაწესებულებათა შტატი. ჩვენი რესპუბლიკისთვის და კერძოთ ბათუმისთვის ამ განცხადებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვიცით, რომ ბათუმში საოკუპაციო მთავრობას დროს ბევრი ისეთი დაწესებულება შექმნეს, რომლებიც სრულიად არ იყო საჭირო. ისიც ვიცით, რომ თითქმის სულ ყველა დაწესებულებანი მოსამსახურეებით გააესეს და მთელს ოლქს მძარცველთა თვალით დაუწყეს ცქერა.

ინგლისელები განსაკუთრებული მიზნებით მოვიდენ ბათომში, რასაკვირველია თავისი ქვეყნისა და ჯიბის გასამდიდრებლად. ცხადი იყო იყო ამ საქმეში ისეთ მოხელეებს აირჩევდენ, რომლებიც ხელს შეუწყობდა დასახული მიზნის შესრულებაში.

ჩვენ კარგად გვახსოვს ნიკოლოზის თვითმყრობელობა. გვახსოვს თუ როგორ ხდებოდა მოსამსახურეთა მიღება და რანაირი იყო მოსამსახურის მოვალეობა. ლამაზი ქალი, ხაჭაპური, ჭათმები და საქმეც გაჩარხული იყო. თუ ეს პირობები თან იყო, სამსახურში მიღება ადვილად მოხერხდებოდა. თუარა და საქმეს არაფერი შეველოდა.

ამ ვარი საშვალებით იყო თუ სხვანაირი მოხერხებით, საოკუპაციო მთავრობის დროს ნიკოლოზის ძველ მოხელეებმა ბათომში თავშესაფარი ნახეს და ხელიც კარგათ ჰკიდეს. ჩვეულება რჯულის უმტკიცესიაო, ამბობს ხალხის სიბრძნე და ეს თქმულება ბათუ ში ჯამართლდა. თვით პყროზელობის დროინდელ მოხელეთა ჩვეულებამ თავისი ქნა და მთელი ბათუმის ოლქის მცხოვრებლები საოკუპაციო მთავრობას გადაჰკიდა.

ჯერ არ დაგვივიწყებია თუ რანაირ შევიწროებას განიცდიდა ამ დროს ,,კუკურუზნია რესპუბლიკის'' მოქალაქეები. გვახსოვს როგორ პატიჟობდენ უცხოელებს სამსახურში მაშინ, როცა ადგილობრივ მცხოვრებლებს თითქმის ასში ერთსაც არ იღებდენ.

ოლქის ჰირისუფალი—გადამთიელები გახდეს და ხალხის სიმდიდრეს დღე-დღეზე აქრობდენ. ჩვენი რესპუბლიკის წინაალმდეგ შურსა და მტრობას სთესდენ, ყოველ დღე შეთქმულებას გვიწყობდენ. ეს დაუვიწყარი ამბავია.

ბათუმი არევ-დარეული და მოუწყობელი ჩაიბარა საქართველოს მთავრობამ. დღესაც ვერ არის ის ნორმალურ მდგომარეობაში. ამას რასაკვირველია თავისი საპატიო მიზეზები აქვს.

ასეთ პირობებში ცხადია ძნელი იყო და არის მდგომარეობის ერთბაშათ გარდაქმნა შეცდომების დაუშვებლობა, მაგრამ თავი და თავი არის მთავრობამ გადაწყდა და გამოასწოროს ყველა ის დაუშვებელი და არა სასურველი ნაკლი, რაც კი დღეს ბათუმს ამჩნევია.

ბათუმი ლირსი უ და იყოს რესპუბლიკის ჭალაქის სახელწოდების.

ბათუმის მოსამსახურე ბი ჩირქს არ უნდა სცხებდენ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

მოსამსახურეთა წარსული ვინაობას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს. დღეს ბევრი მგელი დასეირნობს ბათუმში ცხვრის ტყავში გამოწყობილი. ზოგიერთი მათგანი შეიძლება პასუხ საგ ბ თანამდებობაზეც გვყავდეს დანიშნული

მოსამსახურე საწსახურს ამოსარჩენის თვალით არ უნდა უცქერდეს.

მთავრობის თავმჯდომარის განცხადებაც ბათუმში გამოძახილი უნდა ჰპოვოს ეხლავე უნდა შეუდგეთ დაწესებულებათა რეორგანიზაციას.

ჩვენი ღარიბი სახელმწიფო არალეთარალე ხალხს ვერ არჩენს, ვერც იმათ, რომლებიც ვითომ ანგელოზებათ გვეჩვენებიან და ნამდვილათ კი ჩვენს დასაკლავ დანას ლესავენ.

ბრ. თ—ძე.

ნერილი გონიიდან.

ლიმანის, სარფის და გონიის მცხოვრებლებმა რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წერილობით მიმართეს, რათა ამ ადგილებში გახსნილ იქმნას პირველ დაწყებითი სკოლები. სხვათა შორის თხოულობენ მეგრულ ენის ჰკოდნე მასწავლებლებს.

უცხოეთში.

ლატვია.

კომუნისტები ლატვიაში.

კოვნოდან იუწყებიან: თუმცა ბოლშევიკები თანდათანობით სცლიან ლატვიის ტერიტორიას, მაგრამ შიუხედავათ ამისა საბჭოთა აგენტების მოქმედება დიამეტრალურად წინააღმდეგება მოსკოვის ოფიციალურ დაპირებებს: მთელ ლატვიაში აურაცხელად ვრცელდება კომუნისტური ფურცლები, რომლებიც ხალხს ლატვიაში საბჭოთა წყობილების დამყარებისაკენ მოუწოდებენ. საბჭოთა ოფიციალური პრესა ლოიალურ წერილებთან ერთად, ათავსებს ცნობებს, რომ ახლო მომავალში ლატვიის ახლანდელი მთავრობა დამხობილი იქნება და მის ადგილს კომუნისტური მთავრობა დაიჭერსო. („ჩ. ი. ჟ.“ № 167)

ირლანდიაში.

„Le Journal“-ს იუწყება: 2 აგვისტოს კორკში გაიხსნა ირლანდიის ტრედ-უნიონების მეორე კონგრესი. კონგრესის პრეზიდენტი ტერერანი თავის სიტყვაში კრების გახსნისას შეეხო ირლანდიის საერთო მდგომარეობას და განაცხადა, რომ არავითარი არა ამომწურავი ზომები დაუშვებელია, ირლანდიისათვის შესაძლებელია მხოლოდ ან სრული დამოუკიდებლობა ან მისი განადგურება.

საფრანგეთში.

მუშათა მოძრაობა.

მუშათა კონფერენციის კომიტეტმა გაკიცხა უკიდურესი ელემენტები, რომლებიც გენერალური სეკრეტარის ჟუოს აზრით, ხელს უშლიან ფედერაციის ეკონომიური რეფორმების მოსახდენათ მიმართული მუშაობას.

ინგლისში.

რუსეთიდან ახლახან დაბრუნებულმა მუშათა დელეგაციამ გამოაქვეყნა თავისი მოხსენება საბჭოთა რუსეთის შესახებ, სადაც სხვათა შორის სწერია: „პირადუნების, სიტყვის და პრესის თავისუფლება ძლიერ შეზღუდულია.

შრომის სფეროში მკაცრი დისციპლინა არის შემოღებული.

რუს გლეხს არაფერი მოუგია სოციალიზმისაგან“.

(„ჩ. ი. ჟ.“ № 166)

გერმანიაში.

ბერლინიდან „ჩ. ი. ჟ.“ (№ 166) ატყობინებენ 30 აგვისტოს თარიღით: კვირას სხდომაზე ბოლშევიკებს ცხარე კამათი ჰქონდათ დამოუკიდებლებთან. კომუნისტმა ლევიანმა მოხსენება გააკეთა მოსკოვში ყოფნის შესახებ. მან განაცხადა, რომ დამოუკიდებლებმა გზა-კვართე დინზე დგანან. კრებაზე ასევე სასურველ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი, ვიდაცამ კაუცკის მოღალატე უწოდა. კრისპიენსმა განაცხადა რომ მოსკოვის დისციპლინა ძლიერ წაგავს დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმს-

გილფერდინგმა სთქვა, რომ არსებული სისტემა მილიტარიზმის დამხარულებული იქნება ან რევოლიუციის მიერ ან მუშათა გაფიცვებით. ყოველ შემთხვევაში მოსკოვის პროგრამა უაზრობაა.

შეერთებულ შტატებში.

რუსები შეერთებულ შტატებში.

რედაქციამ მიიღო რამდენიმე ნომერი ამერიკულ გაზეთებისა, რომლებიც რუსულ ენაზე გამოდიან იქ. გაზ. „პრავდა“ და ,,პრიკარპატსკაია რუს.“

ამ გაზეთებიდან ირკვევა, თუ როგორი სულიერი განწყობილებაა ამერიკაში მყოფ. რუსებში. შეიძლება მათში იყოს მომხრეები რუსეთში გამეფებულ რეჟიმის, მაგრამ ძლიერ ცოტა. უმრავლესობა პატრიოტული სულით არის გაჟღენთილი და მთლიანად განუყოფელ რუსეთს ეტრფის.

გაზ ,,პრიკარპატს. რუს.“ № 719 მოყვანილია კოლბის ნოტა, რომელიც იტალიის მთავრობას გაეგზავნა. ორივე გაზეთები სიხარულით ეგებებიან კოლბის ნოტას და შეგრთებულ შტატებს რუსეთის მეგობრობს უწოდებენ.

ორივე გაზეთი არის ორგანო ე. წ. ,,კარპატორუსეთის კომიტეტის, რომელსაც მიზნათ აქვს დახმარება აღმოსავლეთ გალიციის რუსეთთან შეერთება, კომიტეტი წინააღმდეგია როგორც ბოლშევიზმის ისე ვრანგელის, მაგრამ წინააღმდეგია რუსეთის დანაწილების.

აი რას სწერს ამ კომიტეტის თავმჯდომარე პროფ. დ. ვერგუნი კოლბის ნოტის შესახებ:

,,გაიელის საუკუნოები და ამერიკის ნოტას რუსეთის მთლიანობის შესახებ მომავალი თაობანი გაიხსენებენ როგორც საერთაშორისო კეთილშობილების გრძნობის ძეგლს

ამერიკის ნოტა გაეგზავნა იტალიას, რომელმაც თავის საგარეო საქმეთა მინისტრის სფორცას პირით განაცხადა საბჭოთა მთავრობის ცნობის შესაძლებლობის შესახებ რომში. ეს თითქოს გაფრთხილებაა იტალიისათვის მის მომავალ მოქმედებაში.

ამერიკის ნოტა მიმართულია დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც კაიზერის გერმანიის და ავსტრიის გზით წავიდა რუსეთის დაყოფაში და შეიქმნა ბალტიაში და კავკასიაში მთელი რიგი ვითომდა ,,დამოუკიდებელ რესპუბლიკებისა“.

ამ ამონაწერიდგან უკვე აშკარაა თუ რა ასულდგმულებს ხსენებულ კომიტეტს. როგორც განცხადებებიდან და კომიტეტის სხვა და სხვა მიმართვებიდან ირკვევა, ორგანიზაციას საკმაო გავლენა და საშვალებანი აქვს.

როგორც გაზეთი ,,პრავდა“, (გამოდის ნიუიორკში) გალიჩანების ორგანო იუწყება, ამერიკაში დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალყურს რუსეთ-პოლონეთის ომს. შეერთებული შტატების მთავრობას გადაუწყვეტია შეთანხმებულად იმოქმე-

დოს ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებთან, თუ ბოლშევიკები პოლონეთს ალყაში მოუკიდებლობას დაემუქრენ.

17 აგვისტოს შედგა კაბინეტის სხდომა პრეზიდენტი ვილსონის თავმჯდომარეობით რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობის შესახებ.

სერიოზულ ნაბიჯების გადადგმას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ახლო მომავალში პრეზიდენტის არჩევნების გამო, პარტიათა შორის მკაცრი ბრძოლაა გაჩაღებული.

ქალთა საარჩევნო უფლება.

შტატ ტენესში მიიღეს დამატება ამერიკის კონსტიტუციაზე, რომელიც ქალებს საარჩევნო უფლებას ანიჭებს. დამატება მიღებულ იქმნა 50 ხმით 46 წინააღმდეგ.

საბჭოთა რუსეთში.

ექიმ მარტინის შთაბეჭდილებანი.

კოპენგაგენში ბოლშევიკების მიერ განთავისუფლებულ დანელების ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა დანიის წითელი ჯვარის რწმუნებული ექიმი მარტინი, რომელმაც ექვსი თვე გაატარა საბჭოთა რუსეთში.

მის სიტყვით, მოსკოვში ცეცხლი გაუჩნდა საარტილერიო საწყობებს, რომელმაც გრანდიოზული ხასიათი მიიღო. აფეთქება გრძელდებოდა დილის ექვსი საათიდან, როცა ცეცხლი გაჩნდა, მეორე დილის ექვს საათამდი, ბოლშევიკები ამტკიცებენ, რომ კატასტროფა მოაწყვეს პოლონელების აგენტებმა.

პეტროგრადში ყველაფერი სამხედრო წესებზეა გამოცხადებული, მცხოვრებნი დამშეულნი არიან ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით

ექიმი მარტინი ესაუბრა მ. გორკის, რომელმაც მკაცრად გაიღიმა გაფიცვების და... სიზარმაცის წინააღმდეგ. გორკი ამტკიცებს, რომ გაფიცული — საზოგადოების მტერია, და მათ უნდა მოეპყრან ისე, როგორც დაიმსახურეს. ექიმ მარტინიმ მოისმინა აგრეთვე ლენინის მიერ მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე წარმოთქმული სიტყვა, როლელშიც ის მოითხოვდა კოლექტივისტური პრინციპის მოსპობას და ხელმძღვანელობის სპეციალისტების ხელში გადაცემას, მათი პირადი პასუხის მეგებლობის ქვეშ. ტროცკის გეგმის თანახმად, როგორც მუშები ისე მათი ხელმძღვანელები პასუხის მგებელნი არიან სამხედრო კანონების მიხედვით.

ახალი ბატონყმობა.

გაზ. „ბერლინგსკე ტიდენდეს“ კორესპოდენტი იუწყება კოვნოდან, რომ ბოლშევიკებმა რევოლიუციონურ მონაპოვართა განმტკიცების დროშის ქვეშ შემოიღეს ნამდვილი ბატონყმური წყობილება.

ჯარიმის სისტემა კულტად გადაიქცა და ბოლშევიკური პრესა აჩრდილებულია ცნობებით ჯარიმების, დადგენილების და დახვრეტის ცნობების შესახებ.

გაფიცვისკენ მოწოდებისათვის სიკვდილით სჯიან.

საავადმყოფოები მუსიკით,

„პეტროგ იზვესტია“ სწერს.

„ამ ჟამად დაიბადა აზრი ყველა რაიონებში გაიხსნას საავადმყოფოები 4 განყოფილებით, ყველა რაიონულ საავადმყოფოებთან მოეწყობა: ბიბლიოთეკა და სამკითხველო ზალა. ავადმყოფებისათვის გაიმართება კონცერტები და აგრეთვე ბასი პოლიტიკურ თემებზე“.

გელსინგფორსის გაზეთი „რუსეთის ახალი ცხოვრება“ (№ 159) ამ ამონაწერს შემდეგ შენიშვნას უკეთებს: ავადმყოფები ხდებიან სიცივისაგან და სიმშილისაგან, საავადმყოფოები იხურება, ექიმები არ არის, მედიკამენტები არ იშოვება, ამხანაგები აწყობენ ბიბლიოთეკებს(ალბათ მარტო უდები იქნება) და... კონცერტებს. თუ მოკვდებიან ქემაინც მუსიკით!

წითელი იმპერიალიზმი.

გელსინგფორსის გაზ. „Новая Русск. Жизнь“ ის ცნობით, ესტონური გაზეთი „ვაბა მაა“ იუწყება, რომ პირმა, რომელსაც დიდი თანამდებობა უჭირავს საბჭოთა რუსეთში განუცხადა გაზეთის კორესპოდენტს, რომ საბჭოთა მთავრობას არას დროს სერიოზულათ არ მიუჩნევია განაპირა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, არასოდეს არ უცვნია შესაძლებლათ, რომ ეს სახელმწიფოები შესძლებენ დამოუკიდებლათ არსებობას.

თუ მთლიანი და განუყოფელი რუსეთი სჭიროდა წეფის მთავრობას, მით უფრო სჭირია ის საბჭოთა მთავრობასო, განაცხადა თანამდებობის პირმა.

ერგების დამოუკიდებლობა ლამაზი იდეა არისო, განაცხადა მან, მაგრამ პრაქტიკაზე აუცილებლობა გვაიძულებს ყურადღება მივაქციოთ ეს პრინციპი.

მისი სიტყვით, სასურველი იქნებოდა ბალტიის სახელმწიფოებმა თვითონ აღძრან კითხვა რუსეთთან შეერთების შესახებ, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იძულებულნი იქნებიან ასე მოიქცნენ, კერძოთ საბჭოთა მთავრობას მიაჩნია ლატვიის და ესტონიის დამოუკიდებლობაზე, რადგან მათი ტერიტორიით მიდის გზა რუსეთისათვის ბალტიის ზღვაზე გამოსასვლელად. ზღვისკენ გასაჯალს საბჭოთა რუსეთი დაიკავებს, როგორც კი გამორკვეული იქნება ევროპასთან დამოკიდებულების კითხვა და ევროპა იცნობს მას.

ყირიმში.

ფასები ყირიმში.

გაზ „ვეჩერნეე ვრ.“ ნომერი ღირს 350 მანეთი.

ხორცი გირვანქა—1300 მ.; ერბოი გირვ.—8500 მ.; კვერცხი ათი—3500 მ; კომბოსტო—1800 მ; გირვანქა ნავთი—850 მ; შაქარი არ იშოვება; არშინი ჩითი—12000 მ.; ფუთი შეშა—4500 მ.

კერძო პირი წერილით იტყობინება, რომ მალაზიის ნოქარმა ჯამაგირათ თვეში 200 ათასი მანეთი ითხოვა და ძულებული გავხდი დავთანხმებულიყავიო.

თეატრი და ხელოვნება.

ბათომის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე.

ბათომის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის სეზონი გაიხსნა 19|IX პიესა „მსხვერპლით“.

დემოკრატიულმა წრემ აუღო ალერო ხალხის სულის ნადებს და სეზონი მისივე ცხოვრებიდგან ამოღებულ პიესით გახსნა.

„მსხვერპლით“ მაყურებელი ფურცლავს თავის ლამაზ წასრულის მშვენიერ, თუმცა ტრაღიკულ ფურცელს, და მიგონებათა სერიებში ეხვევა. ამ სალამოს წრის მთელი შემადგენლობა თავის ალაგას იყო. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მსახიობები. ამ სალამოს არ ითქმოდა, რომელი უკეთ თამაშობდა და რომელი ნაკლებათ. გახტროლიორი ვასო აბაშიძე ხომ ჩვეულებრივ შეუდარებელი იყო.

29|X გაიმართა წრის მეორე წარმოდგენა. დაიდგა „ქრისტინე“. პიესა კარგათ ჩატარდა მაგრამ მაყურებელნი ძლიერ ცოტანი იყვნენ. თუ საზოგადოება ყურადღებით არ მოეკიდება წრის ახალ დაწყებას, წრეს არ ექნება საშუალება განაგრძოს სეზონი და ორი, სამი წარმოდგენის შემდეგ დაიშლება

ნუთუ ბათომის ქართველი საზოგადოება ვერ გრძნობს ბათომში ქართულ თეატრის არსებობის აუცილებლობას. ნუთუ ისე დაკნინებულია, რომ ვერ ამჩნევს, რომ ბათომში ქართული თეატრის არსებობას დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშველობა აქვს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბათომის ქართველი საზოგადოება მოვა გონს და დღეიდგან მაინც ივლის სისტემატიურათ ქართულ წარმოდგენებზე.

ბ. ბრუზნევსკი.

წერილი რედ. მიმართ*).

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ურჩმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთა, რომლებმაც კეთილ ინებეს და დახმარება აღმოუჩინეს ფულით მოქალაქე ლევანტი კვატატისძე მჟავიას, რომელიც უკიდურეს სიღარიბეს და სიმწუხარეს განიცდის ქ. ოზურგეთის საეროპო საავათმყოფოში ჯარში ყოფნის დროს დაავადმყოფების მიზეზის გამო. სულ მოგროვდა 4651 მ.

ლ. გუგულაშვილისა.
ი. ნიკოლაიშვილისა.

*) დამხმარეთა სია უდგილობის გამო არ იბეჭდება.

I.

გუშინდელ ნომრის „ბათუმის ფურცლის“ ქრონიკაში მოთავსებულია: „მილიციის ეფროსის განკარგულებით დაატყვევეს გვარდიელი დონაძე, რომელმაც ფული გამოსტყუა“ და სხვა. სინამდვილის აღსადგენათ ვაცხადებთ, რომ კადრის გვარდიელმა დონაძემ ჩაიდინა სხვა და სხვა ბოროტმოქმედება, შტაბმა ეს გაიგო, მოახდინა წინასწარი გამოძიება დონაძე გაათავისუფლა გვარდიიდგან, დაატუსალა და გადასცა სასამართლოს.

II.

ბათუმის სახალხო გვარდიის შტაბი ურჩმეს მადლობას უცხადებს ექიმ პლატონ გიგინეიშვილს, თეატრის განმავლობაში ბარაკების კაზარმებში კადრის გვარდიელების უფასოთ ექიმობისათვის.

ბათომის გვარდიის შტაბი.

სახალხო გვარდიაში.

გვარდიის დღის მომწყობი მთავარი კომისია სთხოვს ყველა კომისიის და ქვე კომისიის წევრებს, ხელის მომწერლებს და შემომწირველებს ვისაც ჯერ კიდევ ანგარიშები არ გაუსწორებიათ, არა უგვიანეს 4 ოქტომბრისა შემოგვძახონ შტაბში და გაასწორონ ყოველ გვარი ანგარიშები.

კომისია სთხოვს იმ პირთაც, ვისაც რაიმე ჭისაღები აქვს დაუყოვნებლივ წარმოადგინონ ანგარიშები და მიიღონ ფული არა უგვიანეს 4 ოქტომბრისა. 5 ოქტომბრიდან მთავარი კომისია გამოაქვეყნებს ანგარიშებს და ის ჯარები, რომლებიც

ანგარიშებს 4 ოქტომბრიდან ორ[illegible] ასწორებენ, გაათავისუფლებული იქნებიან გაზეთებში გამოცხადებით.

მთავარი კომისიის თავმჯდომარ[illegible]
ვ. ჯიდია.

მოლარე — დ. კუნჯულია.

26 სექტემბრის გვარდიის დღის ანგარიში.

ცირკიდგან და კინემატოგრაფებიდგან შემოსული ფულები (უპრაქტიკო % გამოუკლებლათ).

1)	გამყრელიძის ცირკიდგან	75,900 მ.
2)	კინემატოგრაფ რელიგიონი. დან	20,540 „
3)	„ ტრიუმფიდან	11,170 „
4)	„ აპოლოდან	23,840 „
5)	„ „კინოპალას.“	9,415 „
6)	„ „ლირიდან.“	1.875 „
	სულ	142,740 მ.

სულ შემოვიდა ას ორმოცდა[illegible] ორი ათასს შვიდას ორმოცი მანეთი

26 სექტემბერს, გვარდიის სასარგებლოთ ნაღდ ფულათ შემოსული რესტორნებიდან და სარძევე საჭიმებიდან (გარდა საზოგადო საკრებულო დარბაზისა.)

1)	„პავილიონიდან“	227,247მ.
2)	მამფორიას სასადილოდგან (მისივე შემოწირული. 4000 მ.	11,215 მ.
3)	ძიძიგურის სარძევედან	12.000 „
3)	რესტორან „ჩოხატაურიდგან“	24,390 „
5)	„ „კურზალიდან“	6,775 „
6)	„ „პარდირედან“	23.185 „
7)	„ „ივერიის ვარსკვლავიდან“	22,225 „
8)	„ განთიადიდგან“	20,700 „
9)	„ „ფორტუნიდან“	58,000 „
10)	„ ფეოფილოს	80,000 „
11)	„ „ბარგ-ბეროკა“	19,560 „
12)	„ „ მარანიდან“	65,000 „
13)	„პალე-კრისტალ.“	100,190 „
14)	„ „არტელიდან“	36,650 „
15)	„ სანაკაძის რესტ.	20,415 „
16)	„ ი. მგელაძის სარ.	30,700 „
17)	„ ილია მეგრელიშვილის გან	26,083 „
18)	სიმონ ურუშაძ-ს	27,850 „
19)	საჩაიე „კერასუნდიდან“	24,040 „
20)	ქალთა წრის სასადილოდგან	15.000 „
21)	აივაზოვის საჩაიდან	7,470 „
	სულ	858694 მ.

სულ რვაას ორმოცდა თვრამეტი ათას ექვსას ოთხმოცდა თოთხმეტი მანეთი.

მთავარ კომისიის თავმჯ. ვ. ჯიდია
„ „ მოლარე — დ. კუნჯულია.

გაზეთის ფონდი.

რედაქციამ მიიღო მოქ. კონსტანტინე პოპანდოპულოს მიერ შეკრებილი 33 ათასი მანეთი გაზეთის ფონდისათვის.

რედაქცია ურჩმეს მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან.

სარედაქციო კოლეგია.

დაიბეჭდა საქართველოს რესპუბლიკის ბათომის საკონსულოსაგან ერმილე იულოს ძე ვაჭაძის სახელზე გაცემული სურათიანი პირადობის მოწმობა და ჯარში სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ხ. ვ. შმაგლისა. მიხაილოვის ქ. № 21, ქ. ბათუმი.